ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი



რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით (2014-2021) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით

SGRC

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით (2014-2021) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით

ავტორები:
მიხეილ სხიერელი
თენგიზ სულთანიშვილი

თბილისი, 2020

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ორგანიზაციების ,,ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერის'' და "რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრის" მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის ,,სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა'' ფარგლებში.

,,სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა'' ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციები ,,ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი'' და "რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი" და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორთა შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი ... 2

მონიტორინგის მიზანი ... 2

მეთოდოლოგია ... 3

სამაგიდო კვლევა ... 3

სიღრმისეული ინტერვიუები ... 3

1. რაჭის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება 2014-დან 2019 წლამდე ... 5

2. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამოცანები მცირე და საშუალო მეწარმეობის განსავითარებლად 2014-2021 წლებისათვის და მათი შესაბამისობა სხვადასხვა სტრატეგიებთან ... 6

2.1. რეგიონის პრიორიტეტები მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართულებით ... 6

2.2. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემოს სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა სხვადასხვა სტრატეგიებთან ... 6

3. ცენტრალური ინსტიტუტებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი ... 8

3.1. სააგენტო „აწარმოე საქართველოში" ... 8

3.2. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ... 10

4. ინტერვიუები კერძო სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტების, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ... 12

4.1. პროგრამების მიმდინარეობა ... 12

4.2. 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება ... 13

4.3. ბიზნესის საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა რაჭის რეგიონში ... 13

4.4. ბიზნესგანათლებასა და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებაზე რაჭაში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობა ... 14

4.5. შრომითი რესურსის მომზადება-გადამზადება ... 15

4.6. რაჭაში მოქმედი საწარმოების მხარდაჭერა ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოსაძიებლად ... 15

4.7. ცენტრალური ხელისუფლების პროგრამების თანამშრომლობა რაჭის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან პროგრამის დაგეგმვის, კომუნიკაციისა და მისი განხორციელების პროცესში ... 15

4.8. რეგიონისა და მუნიციპალიტეტების მთავარი გამოწვევები რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით ... 16

5. ბიზნესგარემო რაჭის რეგიონში ... 17

5.1. მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება ... 17

5.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები რაჭაში ... 17

5.3. მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შეფასება ... 20

5.4. ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის შესახებ ... 20

5.5. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის სასურველი ინიციატივები, რომელთა განხორციელებასაც ისურვებდნენ ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად ... 21

6. შეჯამება ... 22

7. რეკომენდაციები ... 24

7.1. კერძო სექტორის ჩართვის უზრუნველყოფა რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში ... 24

7.2. კერძო სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტების შექმნა რაჭაში ... 24

7.3. პროფესიული განათლების მომსახურების პროაქტიურად მიწოდების უზრუნველყოფა ... 24

7.4. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი ინფრასტრუქტურის განვითარება ... 24

დანართი 1: რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების სტრატეგიების პრიორიტეტები ... 25

დანართი 2: ჩატარებული ინტერვიუები ... 28

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროექტის – „რაჭის რეგიონის განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის გზით" – ანგარიშს. მასში წარმოდგენილია 2014-2019 წლებში ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული იმ პროგრამებისა და ინიციატივების მონიტორინგის შედეგები, რომლებიც თანხვედრაშია 2014-2021 წლებისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან.

ანგარიშში წარმოდგენილია რაჭის რეგიონის 2014-2019 წლების ზოგადი ეკონომიკური მიმოხილვა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართულებით, რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებები და მათი შესაბამისობა სხვა სახელმწიფო სტრატეგიების პრიორიტეტებთან, კერძო სექტორის განვითარების სააგენტოებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი, მათ წარმომადგენლებთან და რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელ პირებთან, ასევე, რაჭაში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

მონიტორინგის მიზანი

პროექტის მიზანია რაჭაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის მეხუთე მიზნით 2014-2021 წლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების მონიტორინგი. რეგიონული განვითარების სტრატეგიის მეხუთე მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს. ამისათვის დოკუმენტში რვა ძირითადი ამოცანაა დასახული:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა;
2. ბიზნესგანათლებასა და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებებზე მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური პროგრამების საშუალებით;
3. შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნის მხარდაჭერა;
4. რეგიონის მუნიციპალიტეტებში გადამზადების ცენტრებისა და ბიზნესინკუბატორების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;
5. პროფესიული განათლების მიმართულებით რეგიონის საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განათლების ცენტრების საჭირო პროფილისა და რაოდენობის პროგნოზირება;
6. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტების მომზადებაში და მათი დაკავშირება პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან;
7. ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიებაში ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა;
8. თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა.

მონიტორინგის მიზანია, 2014-2019 წლებში ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით რაჭის რეგიონის პროგრესის ანალიზი. ამისათვის არასამთავრობო ორგანიზაცია „ცოდნის და გამოცდილების ტრანსფერის" მკვლევრების მიერ შემუშავდა თვისებრივი მეთოდოლოგია, რომელმაც პირველ ეტაპზე სამაგიდო კვლევისა და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით გამოიკვლია პროგრესი სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საქმეში ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში. მონიტორინგის მეორე ეტაპზე რაჭაში მცირე და საშუალო მეწარმეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დოკუმენტში გაანალიზებულია ადგილობრივი ბიზნესგარემო და გამოკვეთილია რეგიონული სტრატეგიით ნაკისრი აქტივობების შესრულების მნიშვნელობა ადგილობრივი ბიზნესისთვის. შეგროვებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად შესასრულებლად.

მეთოდოლოგია

აღნიშნული ანგარიში თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელ მეთოდებს ეყრდნობა, როგორიცაა: მეორად წყაროებზე დაფუძნებული სამაგიდო კვლევა და ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები.

სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა 2014-2021 წლებისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით. გარდა ამისა, სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტის ამოცანებისა და აქტივობების შესაბამისობა მცირე და საშალო მეწარმეობის განვითარების კუთხით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სტრატეგიით ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული მიზნით გაანალიზდა:

- 2016-2020 წლებისათვის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები;
- 2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები;
- 2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები;
- 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის პრიორიტეტები.

სამაგიდო კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში 2014-2019 წლებში სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მხარდაჭერილი ინიციატივები. დოკუმენტში გაანალიზებულია სსიპ „აწარმოე საქართველოშის", სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (სსმგს), სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 2014-2019 წლებში განხორციელებული მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ინიციატივები.

სიღრმისეული ინტერვიუები

2019 წლის დეკემბერსა და 2020 წლის იანვარში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით 2014-2021 წლებისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და არსებული გამოწვევების შესასწავლად ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა ცენტრალური ინსტიტუტებისა და რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან (იხილეთ დანართი #2).

ცენტრალურ დონეზე ინტერვიუებისათვის შეირჩა ის ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების საშუალებით მხარს უჭერენ კერძო სექტორის განვითარებას რეგიონებში. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ინტერვიუები დაიგეგმა რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან.

ცენტრალური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან სიღრმისეული ინტერვიუების მიზანს წარმოადგენდა ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში მათი იმ საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც რეგიონის განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას უწყობს ხელს. ასევე, მნიშვნელოვანი იყო იმის იდენტიფიცირება, ითვალისწინებენ თუ არა ცენტრალური ინსტიტუტები რაჭის რეგიონში საქმიანობის დროს რეგიონის განვითარების სტრატეგიით ნაკისრ ვალდებულებებს და აქცევენ თუ არა ყურადღებას მათ შესრულებას.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ინტერვიუების მთავარ მიზანს წარმოადგენდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით 2014-2021 წლებში რეგიონის განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ინტერვიუების დროს დასმული შეკითხვები შეეხებოდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით ნაკისრი თითოეული ვალდებუ-

ლების შესრულების დროს გამოვლენილ პროგრესსა და გამოწვევებს. შეკითხვები ასევე ეხებოდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით ცენტრალური და ადგილობრივი ინსტიტუტების კოორდინაციისა და კომუნიკაციის ხარისხს (იხილეთ დანართი # 2).

პროექტის მეორე ეტაპზე რაჭის რეგიონში არსებული ბიზნესგარემოს კვლევის მიზნით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნესრეგისტრის მონაცემებიდან საწყის ეტაპზე შეირჩა ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში მოქმედი საწარმოები რეგიონული სტრატეგიით გამოკვეთილ პრიორიტეტულ სექტორებში (კვების მრეწველობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა). ინტერვიუების ჩასატარებლად მომზადდა ინტერვიუს სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა შეკითხვებს მეწარმეობის განვითარების კუთხით რაჭის მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებზე, პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისა და მიწოდების გასაუმჯობესებლად მცირე და საშუალო მეწარმეების ხედვაზე. ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები მცირე და საშუალო ბიზნესის 21 წარმომადგენელთან (იხილეთ ცხრილი #1). 2020 წლის 18 ივნისს „ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერის" მკვლევარებმა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრის ინტერვიუერის თანდასწრებით, რესურსცენტრის ოფისში შვიდი სიღრმისეული ინტერვიუ ჩაატარეს ამბროლაურში მოქმედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელმძღვანელებთან. 19 ივნისს მკვლევრებმა ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ინტერვიუები ონის მუნიციპალიტეტში მოქმედ ოთხ მცირე და საშუალო საწარმოს ხელმძღვანელთან გამართეს. „ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერმა" ამბროლაურსა და ონში სულ 11 ინტერვიუ, ხოლო რესურსცენტრის ინტერვიუერმა 2020 წლის ივნისის ბოლომდე 10 ინტერვიუ ჩაატარა.

ცხრილი 1. *ძირითადი ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ*[1]

სექტორი	საწარმოს რაოდენობა	ამბრო-ლაური	ონი	საწარმოს ზომა	
				მცირე	საშუალო
სოფლის მეურნეობა (ღვინის წარმოება და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება)	3	2	1	2	1
კვების მრეწველობა (მეფუტკრეობა, პურის წარმოება, ტყის ველური პროდუქტების შეგროვება (ხეტყის გარდა) და ხორცის პროდუქტების წარმოება)	11	10	1	10	1
ტურიზმი (სასტუმროები და რესტორნები)	7	5	2	6	1
სულ	21	17	4	18	3

ინტერვიუების შედეგად შეგროვებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა პროგრესი რეგიონის განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საქმეში და არსებული გამოწვევები, ასევე, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, კერძო სექტორის მოსაზრებები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი და ხელშეწმყობი ფაქტორების შესახებ.

[1] 2017 წლიდან მონაცემები ქვეყნდება საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიით, რომლის მიხედვითაც: **მსხვილი ზომის საწარმოებს** განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 250 (ძველი მეთოდოლოგიით – 100) კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. (ძველი მეთოდოლოგიით – 1.5 მლნ.) ლარს.
საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცის ჩათვლით (ძველი მეთოდოლოგიით – 20-დან 99 კაცის ჩათვლით), ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე).
მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49 (ძველი მეთოდოლოგიით – 19) დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ.).

1. რაჭის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება 2014-დან 2019 წლამდე

2014 წელთან შედარებით, 2018 წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ინფლაციის გათვალისწინებით[2] ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 103%-ით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალია და ამავე პერიოდში საქართველოს რეგიონების საშუალო ბრუნვის ზრდას ორჯერ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 35%-ით[3], ხოლო რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა 2.3-ჯერ გაიზარდა[4]. ასევე, იზრდება მრეწველობის როლი რეგიონის ეკონომიკაში: 2018 წელს მრეწველობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2014 წლის ფასებში 21,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც ოთხჯერ აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. თუმცა მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 34%-ით შემცირდა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, სამცხე-ჯავახეთთან ერთად, ერთადერთი რეგიონია, სადაც მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურება შემცირდა 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით. დამატებით, სამცხე-ჯავახეთში ანაზღაურების ვარდნა 3-ჯერ მცირე იყო (11%)[5]. მსგავსი სურათი არის დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასების მიხედვითაც.

2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საქართველოში საშუალო ანაზღაურება (ინფლაციის გათვალისწინებით) 31%-ით გაიზარდა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ხელფასის ზრდა 26%-ია, რასაც ჩამორჩება მხოლოდ ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები[6].

რეგიონში ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 16,6-ჯერ გაიზარდა. 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით წლიური ინვესტიციების ზომა არ აღემატებოდა მილიონ ლარს (2016-2017 წლებში კი ასი ათას ლარს შეადგენდა), 2018 წელს კი განხორციელდა 14,8 მილიონი ლარის ინვესტიცია ფიქსირებულ აქტივებში, რაც სავარაუდოდ იყო გამომწვევი მიზეზი მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდის: 2014 წელს 280 ადამიანი იყო დასაქმებული რეგიონში ამ სფეროში, ხოლო 2018-ში კი – 692.[7] შიდა პროდუქტის ზრდამ 2014 – 2018 წლებში (ინფლაციის გათვალისწინებით) საშუალოდ 10.4%-ს მიაღწია, რაც იმერეთის რეგიონის შემდგომ ყველაზე მაღალია. აღსანიშნავია, რომ მშპ-ს ზრდაში ყველაზე დიდი კონტრიბუცია შეიტანეს ისეთმა სექტორებმა, როგორებიცაა: სამთომოპოვებითი მრეწველობა (464%-იანი ზრდა), დამამუშავებელი მრეწველობა (249%-იანი ზრდა) და ტრანსპორტი და დასაწყობება (638%-იანი ზრდა). რეგიონის მშპ-ს მაღალი ზრდის მიუხედავად, საშუალო თვიური ანაზღაურება 2014-2018 წლებში საშუალოდ 2.1%-ით იზრდებოდა, რაც საქართველოში ანაზღაურების საშუალო ზრდასთან შედარებით მესამედით (32,7%-ით) ნაკლებია. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 2014-2019 წლებში 9.3%-ით შემცირდა, დემოგრაფიული ცვლილებები შესაძლოა იყოს საშუალო ანაზღაურების დაბალი ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.[8] შემცირებული მოსახლეობა წარმოადგენს დანაკარგს რეგიონის ეკონომიკური აქტიურობისათვის, რაც ზღუდავს კომპანიებისა და სხვადასხვა საქმიანობის ზრდისა და გაფართოების პოტენციალს. მოსახლეობის ის ნაწილი კი, რომელიც რეგიონს ტოვებს, ძირითადად გამოირჩევა საშუალოზე მაღალი პროდუქტიულობითა და მასაშადამე, ხელფასითაც.

---

[2] გამოთვლილია 2014 წლის მუდმივი ფასებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი აღებულია ჯეოსტატის ფასების სტატისტიკიდან.

$$P_{2014} = \frac{P_{2018}}{(1+\pi_{2015})\times(1+\pi_{2016})\times(1+\pi_{2017})\times(1+\pi_{2018})}$$

[3] საქსტატი, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა, რეგიონული ჩაშლა

[4] საქსტატი, ბიზნესრეგისტრი

[5] საქსტატი, მრეწველობის სტატისტიკა

[6] საქსტატი, სამუშაო ძალის გამოკვლევა

[7] საქსტატი, მრეწველობის სტატისტიკა

[8] საქსტატი, მოსახლეობა და დემოგრაფია, რეგიონული ჩაშლა

2. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამოცანები მცირე და საშუალო მეწარმეობის განსავითარებლად 2014-2021 წლებისათვის და მათი შესაბამისობა სხვადასხვა სტრატეგიებთან

2.1 რეგიონის პრიორიტეტები მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართულებით

ამ ნაწილში მიმოხილულია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ის ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები, რომლებიც გავლენას მოახდენს რეგიონში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე 2022 წლამდე.

2014-2021 წლებისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ რეგიონში მრეწველობის სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვაში ძალისხმევის ჩადება, ხარისხსა და პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების წახალისება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემური ზრუნვა.

სტრატეგიაში 14 პრიორიტეტული მიზანია გამოკვეთილი, მათ შორის მეხუთეა რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პრიორიტეტული მიზნის მიხედვით 2014-2021 წლების განმავლობაში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

ა) მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა;

ბ) ბიზნესგანათლებასა და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებებზე მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური პროგრამების საშუალებით;

გ) შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნის მხარდაჭერა;

დ) რეგიონის მუნიციპალიტეტებში გადამზადების ცენტრებისა და ბიზნესინკუბატორების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;

ე) პროფესიული განათლების მიმართულებით რეგიონის საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განათლების ცენტრების საჭირო პროფილისა და რაოდენობის პროგნოზირება;

ვ) მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტების მომზადებაში და მათი დაკავშირება პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან;

ზ) ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიებაში ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა;

თ) თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა.

რეგიონული განვითარების სტრატეგია ასევე ითვალისწინებს კვების მრეწველობის, სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და ხის დამუშავების ხელშეწყობას, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, რაც უმნიშვნელოვანესია როგორც არსებული მცირე და საშუალო საწარმოების განსავითარებლად, ასევე ახალი ბიზნესების შესაქმნელად.

2.2 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემოს სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა სხვადასხვა სტრატეგიებთან

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული და განხორციელებული ის სტრატეგიები და ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას რეგიონებში და შეესაბამება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებს 2014-2021 წლებისათვის.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემუშავებულია და ხორციელდება შემდეგი სტრატეგიები: „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის“, „2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია“, „2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგია“, „2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა“.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესგანათლების მიმართულება რეგიონულ სტრატეგიასთან ერთად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიის პრიორიტეტს წარმოადგენს. ეროვნულ სტრატეგიებში ასევე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული საინვესტიციო გეგმების შემუშავება და უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირება, ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერა ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიებაში და კვების მრეწველობის მხარდაჭერა. რამდენიმე ეროვნული სტრატეგია ასევე ითვალისწინებს შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების მხარდაჭერას. შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულია საწარმოების ბიზნესსაჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა, ტურიზმისა და სავაჭრო ქსელების განვითარება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული სტრატეგიების პრიორიტეტების თანხვედრა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებთან, ხოლო დანართში მოცემულია მათი სრული ჩამონათვალი:

ცხრილი 2: *რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების სტრატეგიების პრიორიტეტების თანხვედრა*

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021	**2016-2020 წლებისათვის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები**	**2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები**	**2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები**	**2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის პრიორიტეტები**
მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების კვლევა	✓			
ბიზნესგანათლებისა და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	✓	✓	✓	✓
შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის მხარდაჭერა; გადამზადების ცენტრებისა და ბიზნესინკუბატორების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა	✓			✓
რეგიონის საჭიროებათა განსაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით				✓
მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტების მომზადებაში და მათი დაკავშირება პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან	✓	✓		✓
ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოსაძიებლად	✓	✓		✓
თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა				
კვების მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა		✓	✓	✓
ტურიზმის განვითარება			✓	
სოფლის მეურნეობის განვითარება		✓	✓	

3. ცენტრალური ინსტიტუტებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი

ცენტრალური ხელისუფლების მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამები ნაწილობრივ ხელს უწყობს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის შესრულებას მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართულებით.

3.1 სააგენტო „აწარმოე საქართველოში“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო „აწარმოე საქართველოში" 2014 წლიდან ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში", რომელსაც აქვს შემდეგი მიმართულებები: ინდუსტრიული, მიკრო და მცირე მეწარმეობის, კინოინდუსტრიის, სასტუმროს ინდუსტრიისა და აწარმოე უკეთესი მომავლისათვის. სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, რაჭის რეგიონიდან ბენეფიციარების აბსოლუტური უმრავლესობა ფიქსირდება მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილში, ინდუსტრიის კომპონენტში მხოლოდ ორი ბენეფიციარია, ხოლო დანარჩენ კომპონენტებში საერთოდ არ არის. ექსპორტის წახალისების მიმართულებით (რაც არ წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამის – "აწარმოე საქართველოში" ნაწილს) მხარდაჭერა ასევე მიღებული აქვს ღვინის ორ საწარმოს.

2015-2018 წლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტში რაჭის რეგიონში გაიცა 2 118 231 ლარის მოცულობის 654 გრანტი. გაცემული გრანტების მოცულობის მიხედვით გამოიკვეთა უმსხვილესი საქმიანობის შემდეგი 10 სფერო, რომელთათვისაც ჯამში გაიცა 1 244 036 ლარი.

დიაგრამა 1: *მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტის უმსხვილესი საქმიანობის სფეროები გაცემული გრანტების მიხედვით*



რეგიონული განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებული სექტორული პრიორიტეტების მიხედვით მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტმა მხარი დაუჭირა შემდეგ სექტორებსა და ქვესექტორებს:

ცხრილი 3: *რეგიონული განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული სექტორების მხარდაჭერა*

სექტორი	ქვესექტორი	გაცემული გრანტების რაოდენობა	გაცემული გრანტის მოცულობა
საკვებისა და სასმელის მრეწველობა	ფიჭის დამზადება	1	9700
	მეღვინეობა	26	174805
	საცხობი	18	102125
	საკონდიტრო	10	64080
	ხილის საშრობი	3	19000
	ტყლაპის წარმოება	1	9500
	ხილის გადამუშავება	2	13500
	ჩირი	3	12835
	საკვები პროდუქტების წარმოება	1	5000
	ნახევარფაბრიკატების წარმოება	2	13500
	პური	1	5000
	ვაშლის ძმარი	1	3690
	ალკოჰოლური სასმელები	1	14700
	ლორის წარმოება	1	5000
			452435
ხის დამუშავება	ხის საამქრო	12	89700
	სკების დამზადება	1	5000
	ავეჯის წარმოება	6	52700
	ხის კიბეები	1	5000
	სადურგლო-სახელოსნო	1	5000
			157400
სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	ქვის საამქრო	2	15185
	სამშენებლო მასალების საამქრო	4	26190
	სამშენებლო მასალების წარმოება	2	20000
			61375

ინდუსტრიის კომპონენტში რაჭაში 2016 წელს მხარდაჭერა გაეწია ორ საწარმოს სასმელი წყლის წარმოებისა და სასტუმროს სფეროში. რაც შეეხება ექსპორტის მიმართულებას, 2018 და 2019 წლებში მხარდაჭერა მიიღო ღვინის ორმა საწარმომ ჩინეთსა და ჰოლანდიაში გამართულ გამოფენებზე დასასწრებად.

3.2 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (სსმგს) სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას მხარს უჭერს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR) თანადაფინანსების პროგრამის, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალისა" და ახალგაზრდა მეწარმის პროექტების საშუალებით.

სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2013-2019 წლებში ყველაზე მეტი ბენეფიციარი რაჭის რეგიონიდან იყო შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ პერიოდში პროექტის ფარგლებში რაჭაში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებზე გაიცა 2 669 341 ლარის მოცულობის თანადაფინანსება. გაცემული თანადაფინანსების მიხედვით ლიდერობს მევენახეობა-მეღვინეობის სექტორი, რომელზეც მთლიანი თანადაფინანსების 78%-ია გაცემული. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში თანადაფინანსებული სექტორები შემდეგნაირად გამოიყენება:

დიაგრამა 2: *2013-2019 წლებში შეღავათიანი აგროკრედიტის 10 უმსხვილესი სექტორი გაცემული თანადაფინანსების მიხედვით*



თვალშისაცემია განსხვავება ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებს შორის პროექტის ფარგლებში გაცემული თანადაფინანსების სრული რაოდენობის მიხედვით:

დიაგრამა 3: *შეღავათიანი აგროკრედიტის თანადაფინანსების განაწილება ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში*



სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR) თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2018-2019 წლებში გაცემულია მხოლოდ ორი თანადაფინანსება 243 715 ლარის ოდენობით კენკროვნების ღირებულებითი ჯაჭვის ერთ ბენეფიციარზე.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 2016-2019 წლებში გაცემული თანადაფინანსების მოცულობამ 5 ბენეფიციარზე 2 731 093 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული ხუთივე მცირე და საშუალო საწარმო ლორის წარმოებით არის დაკავებული და ყველა მათგანი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

პროგრამა „დანერგე მომავალის" ფარგლებში 2016-2018 წლებში სამ ბენეფიციარზე კაკლის ბაღების მოსაშენებლად გაიცა 68 803 ლარის ოდენობის თანადაფინანსება. აღნიშნული პროგრამის ყველა ბენეფიციარი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საქმიანობს.

ახალგაზრდა მეწარმის პროექტის ფარგლებში 2018-2019 წლებში 10 ინდივიდუალურ მეწარმეზე 404 420 ლარის თანადაფინანსება გაიცა. ბენეფიციარებიდან 6 მევენახეობით არის დაკავებული, 2 მეღვინეობით, 1 ჩირისა და 1 კომბინირებული საკვების წარმოებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მხოლოდ 1 მეწარმეა დაფინანსებული ონის მუნიციპალიტეტში, დანარჩენები ამბროლაურს წარმოადგენენ.

4. ინტერვიუები კერძო სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტების, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები ცენტრალური ხელისუფლების იმ ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, რომლებიც ხელს უწყობენ მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას საქართველოს რეგიონებში. შეხვედრები შედგა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოსთან ,,აწარმოე საქართველოში'', ამავე სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, სახელმწიფო პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში'' მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი კომპონენტის ქვეკონტრაქტორთან ,,სკაუტური მოძრაობა საქართველოში'', ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან. რაჭის რეგიონში შეხვედრები შედგა გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების მერიებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში.

ინტერვიუები შეეხო იმ საკითხებს, რომლებიც პრიორიტეტულად არის მიჩნეული 2014-2021 წლებისთვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიაში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების კუთხით, შესაბამისი სააგენტოების პროგრამების მიმდინარეობას რაჭის რეგიონში, არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს.

4.1 პროგრამების მიმდინარეობა

სახელმწიფო პროგრამა ,,აწარმოე საქართველოშის'' მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტი-სადმი დაინტერესება რაჭის რეგიონში ეტაპობრივად იზრდებოდა, რაც გამოიხატებოდა პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადების ზრდით.

ასევე, უფრო მეტად მოთხოვნადი და პოპულარული ხდება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვი-თარების სააგენტოს პროგრამები. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს 2019 წლის ზაფხულიდან პროგრამებთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის საქმიანობისა და სერვისის ადგილზე წარმოების შესაძლებლობა, რაც გამოიწვია სერვისცენტრების სააგენტოს დაქვემდებარებაში გადასვლამ.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მცირე საგრანტო და თანადაფინანსების გრანტების კომპონენტში რაჭის რეგიონიდან ბენეფიციარები არ ჰყავს. მიმდინარე ეტაპზე სააგენტოს მთავარი აქტივობა რეგიონში არის პროექტი ,,ინტერნეტი განვითარებისათვის'', რომელშიც ჩართულია რა-ჭა-ლეჩხუმში მცხოვრები 350 ოჯახი.

რაჭის რეგიონში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ძირითადად, სოფლისა და სოფლის მეურ-ნეობის სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლობა საქმიანობს. აღნიშნული სამსახური ინტენსიურად მუშაობს ადგილობრივ ფერმერებთან, რათა მიაწოდოს მათ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის კუთ-ხით არსებული სიახლეების შესახებ, გაუწიოს სხვადასხვა ტიპის კონსულტაცია და აუხსნას სხვადასხვა დარგის (მევენახეობა, მემცენარეობა, ვეტერინარია) სპეციფიკა. სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლობა სატელეფონო კონსულტაციებსაც უწევს ფერმერებს და ცდილობს შესაძლებლობების ფარგლებში საჭირო კონსულტაცია ნებისმიერ ფერმერს მიაწოდოს.

ტურიზმის მიმართულებით, რაჭაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს ტურისტული საინფორმაციო ცენტრები. ისინი აგროვებენ ინფორმაციას რეგიონში მოქმედ სასტუმ-როებზე და შემდეგ, სხვადასხვა სერვისით დაინტერესებულ ტურისტებს აკავშირებენ მათთან. ტუ-რისტული საინფორმაციო ცენტრის ბაზაში მოსახვედრად საჭიროა რეგიონში მოქმედმა სასტუმრომ თავად გამოთქვას ამ ბაზაში მოხვედრის ინტერესი ან სურვილი, სხვა შემთხვევაში ცენტრის თანამ-შრომლები სხვადასხვა ონლაინპლატფორმის გამოყენებით ახორციელებენ არსებული და ახალი ტურისტული სერვისების იდენტიფიცირებას და შეჰყავთ მონაცემთა ბაზაში. ტურისტული საინფორ-მაციო ცენტრები მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენაზე არიან პასუხისმგებელ-ნი და ბეჭდავენ რეგიონის რუკებსა და საინფორმაციო ბროშურებს, ასევე, ხვდებიან სხვადასხვა კომპანიებს და მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს აცნობენ მათ. ამბროლაურის მუნიციპა-

ლიტეტში აღინიშნა, რომ ტურისტული საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები საერთაშორისო გამოფენებშიც იღებენ მონაწილეობას და რაჭის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციას აწვდიან დაინტერესებულ პირებს.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერად არც ონისა და არც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური პროგრამები არ ხორციელდება. რეგიონში, მცირე და საშუალო მეწარმეობა სახელმწიფო პროგრამების („აწარმოე საწართველოში", „დანერგე მომავალი" და ა.შ) დახმარებით ვითარდება. საერთაშორისო პარტნიორების პროექტებს შორის ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ პროექტს - „მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა", ასევე, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების ფონდის სხვადასხვა ინიციატივას ასახელებენ.

აღსანიშნავია, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სცადა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის მცირე გრანტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაეცა, თუმცა მერიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ პროცესის ორგანიზება რთული და განსახორციელებლად პრობლემური იქნებოდა, ამიტომ უარი თქვეს პროგრამის დანერგვაზე. პრობლემებს შორის მოსახლეობაში არსებული უნდობლობა და ნიჰილიზმი გამოიკვეთა, ასევე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული უნარების ნაკლებობა სრულყოფილად და რისკების მაქსიმალური დაზღვევით შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ ახალი ინიციატივა.

4.2 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება

ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისკენ არის მიმართული. ეს არის ორივე მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი და, შესაბამისად, სხვა პროგრამებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად რესურსი არ რჩება. ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათი საქმიანობა თანხვედრილია 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიასთან, თუმცა ყოველწლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შესრულების წლიური ანგარიში არცერთ მუნიციპალიტეტში არ მზადდება.

სახელმწიფო პროგრამები რაჭაში სხვადასხვა პროექტისა თუ ღონისძიების განხორციელებისას არ ხელმძღვანელობენ 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზნებით, ამოცანებითა და პრიორიტეტებით, თუმცა გარკვეულწილად ითვალისწინებს რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიმართულებებს. რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ მთავარ აქტორებს შორის არ არის კომუნიკაცია და კოორდინაცია 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების კუთხით. არ ხდება რეგიონში მიღწეული პროგრესის ერთმანეთისათვის გაზიარება და კოორდინირებული შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა საერთო წარმატების მისაღწევად.

ონში აღინიშნა, რომ მერია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიას ქმნის, რომელიც ადგილობრივ საჭიროებებს ეფუძნება და ამ დოკუმენტის შექმნის პროცესში 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგია მათთვის სახელმძღავანელო დოკუმენტი არ ყოფილა. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიასთან უზრუნველყოფილი არ ყოფილა. ონის მერიაში მიაჩნიათ, რომ, პირველ რიგში, ცალ-ცალკე სტრატეგია უნდა შეიქმნას თითოეულ მუნიციპალიტეტში და შემდეგ მთლიანი რეგიონის განვითარების სტრატეგია შემუშავდეს.

4.3 ბიზნესის საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა რაჭის რეგიონში

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" ბიზნესის საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა არ ჩაუტარებია, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ მცირე მასშტაბის გამოკითხვები ჩაატარა, ხოლო რეგიონში მდებარე ექსტენციის ცენტრი ატარებს გამოკითხვებს არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად. სსმგს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გეგმავს ასეთი სახის კვლევის ჩატარებას.

ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში აღნიშნავენ, რომ ბიზნესის საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა 2014-2019 წლებში მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული არ ყოფილა. აღინიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის სიმცირიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებში ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება და კვლევების განსახორციელებლად სახსრები არ რჩება. ამასთანავე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების თქმით, თანამშრომლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ კვლევის დაგეგმვასა და/ან განხორციელებაში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან ერთად ჭირს ახალი, კვალიფიციური კადრების დამატება, რომლებიც სრულყოფილად აითვისებენ შესაბამის მიდგომებსა და ტექნოლოგიებს.

ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევას არც ტურისტული საინფორმაციო ცენტრები და სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლობა აწარმოებენ. ტურისტული საინფორმაციო ცენტრები აგროვებენ სხვადასხვა მონაცემს ტურიზმის სექტორში არსებული ბიზნესებისა და მომსახურების მიმწოდებლების შესახებ, თუმცა არ ხდება ამ ინფორმაციის დამუშავება ტურიზმის სფეროში არსებული საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევისათვის. სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს ქმნის ასევე სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლობაც, თუმცა ამ ბაზების სისტემური დამუშავება და მონაცემთა გაანალიზება არ ხდება.[9]

4.4 ბიზნესგანათლებასა და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებაზე რაჭაში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტში, რომელიც ორ ეტაპად ხორციელდება, ბიზნესიდეების ეტაპის გამარჯვებულებს უტარდებოდათ ტრენინგი ბიზნესგეგმების შემუშავებაში; საგრანტო კომპონენტის გამარჯვებულ მეწარმეებს კი – ტრენინგი ბიზნესის წარმოებისა და მართვის, ასევე, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საკითხებში. საჭიროების შემთხვევაში, მათ ასევე მიეწოდებოდათ ინდივიდუალური კონსულტაციები ტექნოლოგიების დანერგვის, მარკეტინგის, ფინანსების მართვისა და მეღვინეობის თემებზე ჯგუფური და ინდივიდუალური ფორმატით. რეგიონულ მეწარმეებს ასევე აქვთ საშუალება დაესწრონ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს.

რაც შეეხება სსმგს-ს პროგრამებს, „დანერგე მომავალი" კომპონენტის კენკროვნებისა და ბაღების მიმართულების ბენეფიციარებისათვის ტრენინგები სავალდებულოა. ასევე, 2018 წელს გამოვლენილი ტრეინინგის საჭიროებების მიხედვით USAID-ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის (REAP) პროექტის დახმარებით, ჩატარდა სწავლება მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებით. სააგენტოს მხარდაჭერით, ასევე ჩატარდა ბიოწარმოების ტრენინგი ამბროლაურში.

2014-2019 წლების განმავლობაში, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს რაჭაში მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ბიზნესგანათლებასა და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებაზე წვდომის ხელმშეწმყობი პროგრამები და/ან პროექტები არ განუხორციელებიათ. ონის მუნიციპალიტეტში აღინიშნა, რომ სხვადასხვა ტიპის საკონსულტაციო სერვისის მიწოდება როგორც მეწარმეების, ასევე მეწარმეობით დაინტერესებული პირებისათვის გააუმჯობესებდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ გარემოს. მერიის თანამშრომლების თქმით, დიდია მოთხოვნა ბიზნესგანათლებაზე, მოსახლეობას სურს იცოდეს, თუ როგორ მოამზადონ ბიზნესგეგმები, სად მოიძიონ ინფორმაცია არსებული შესაძლებლობების შესახებ. შესაძლებელია, რომ შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც ეკონომიკურ სამსახურს დაექვემდებარება და მოსახლეობას ბიზნესშესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და გამოყენებაში დაეხმარება. ამისათვის კი, პირველ რიგში, თავად ონის მუნიციპალიტეტში უნდა გაჩნდნენ კვალიფიციური კადრები, ვინც მაღალი ხარისხით შეძლებენ ასეთი ტიპის კონსულტაციების გაწევას.

[9] ინტერვიუს დროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს რეგიონულმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია მოქალაქეებისათვის სამინისტროდან გამოთხოვის შემთხვევაში.

4.5 შრომითი რესურსის მომზადება-გადამზადება

ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მერიაში აღნიშნავენ, რომ 2014-2019 წლებში შრომითი რესურსის მომზადება-გადამზადების რაიმე პროგრამისა და/ან პროექტისათვის მხარდაჭერა არ გამოუცხადებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებელი არსებობს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ ერთვებიან მის საქმიანობაში და არც ადგილობრივი კოლეჯი აწვდის ინფორმაციას ადგილობრივ ხელისუფლებას გადამზადებული კადრებისა თუ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის კუთხით ამბროლაურში არსებული გამოწვევების შესახებ.

რაც შეეხება ონის მუნიციპალიტეტს, აქ პროფესიული კოლეჯი არ ფუნქციონირებს და არც მუნიციპალიტეტი ფლობს ინფორმაციას ადგილობრივი შრომითი რესურსის საჭიროებების შესახებ.

4.6 რაჭაში მოქმედი საწარმოების მხარდაჭერა ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოსაძიებლად

სააგენტო „აწარმოე საქართველოში" ეხმარება რეგიონში მოქმედ მეწარმეებს საქართველოსა და საზღვარგარეთ სხავადასხვა ბაზრობებზე დასწრებაში. ასევე, სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტი საშუალებას აძლევს ქართველ მეწარმეებს მონაწილეობა მიიღონ მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენებში. ამ მიმართულებით სააგენტომ მხარი დაუჭირა რაჭაში მოქმედ ორ მცირე და საშუალო ზომის ღვინის საწარმოს. ამასთან ერთად, „სკაუტური მოძრაობა საქართველოში" კონსულტაციას უწევდა მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტის ბენეფიციარებს ელექტრონული გაყიდვების სფეროში.

სსმგს-ს ამ მიმართულებაზე ცალკე ბიუჯეტი არ აქვს და მხოლოდ USAID-ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის (REAP) პროექტის ფარგლებში უზრუნველყო რაჭაში მოქმედი რამდენიმე მცირე და საშუალო საწარმოს საერთაშორისო გამოფენაზე დასწრება.

ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში ღონისძიებები ან პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობდა რაჭაში მოქმედ ბიზნესებს ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიებაში, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არ ხორციელდება. ძირითად მიზეზად ადგილობრივი ბიუჯეტის სიმწირე და არსებული ბიზნესების სისუსტე სახელდება.

ბაზრებზე წვდომის კუთხით, რაჭის მეწარმეებს დახმარებას სახელმწიფო პროგრამები უწევენ, რომლებიც პერიოდულად საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სავაჭრო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობას სთავაზობენ მათ. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლის თქმით, სააგენტო ფერმერებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამართულ ბაზრობებზე წვდომაში უწყობს ხელს, ხოლო საერთაშორისო ბაზარი გაყიდვების კუთხით რაჭველი ფერმერებისთვის ჯერჯერობით განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენს, რადგან რაჭაში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი საერთაშორისო ხარისხის სტანდარტს ჯერჯერობით არ შეესაბამება.

4.7 ცენტრალური ხელისუფლების პროგრამების თანამშრომლობა რაჭის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან პროგრამის დაგეგმვის, კომუნიკაციისა და მისი განხორციელების პროცესში

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში" არ ითვალისწინებს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირ ჩართულობას პროგრამის განხორციელებაში, თუმცა მუნიციპალიტეტების ჩართულობა მნიშვნელოვანია პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საქმეში და ამ მიმართულებით ამბროლაურის მერიასთან იყო წარმატებული თანამშრომლობა. ასევე, რაჭის მუნიციპალიტეტები ეხმარებიან პროგრამის განხორციელებას სამუშაო შეხვედრებისათვის, კონფერენციებისათვის და ტრენინგებისათვის შესაბამისი სივრცეების გამოყოფით. სსმგს-ს პროგრამების შემთხვევაში ადგილობრივ საკონსულტაციო ცენტრებს აქვთ მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

მცირე და საშუალო მეწარმეობის კუთხით, სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სუსტი და ფრაგმენტული კო-

მუნიკაციაა. სახელმწიფო პროგრამები სხვადასხვა საგრანტო კონკურსისა თუ პროგრამის განხორციელების დროს, რომელიც ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას, რეგიონული განვითარების სტრატეგიით არ ხელმძღვანელობენ. ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების წარმომადგენლების თქმით, მათი ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი სახელმწიფო და არარეგიონული სტრატეგიებია. მათივე თქმით, რეგიონული სტრატეგიები შესაბამისობაშია სახელმწიფო სტრატეგიებთან, ამიტომ უშუალოდ რეგიონული განვითარების სტრატეგიით ხელმძღვანელობა აუცილებლობას არ წამოადგენს.

ამ მიდგომის საპირისპიროდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სახელმწიფო პროგრამები ადგილობრივ სპეციფიკაზე არ არის მორგებული და, მაგალითად, კახეთისათვის რელევანტური მიდგომებით რაჭაში მუშაობენ, რასაც შედეგი არ მოაქვს. ამასთანავე, მეწარმეობის განსავითარებლად არსებული სხვადასხვა საგრანტო კონკურსის დროს საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლება არ ერთვება. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში, ფლობენ დეტალურ ინფორმაციას აპლიკანტების შესახებ, იცნობენ ამ ადამიანებს და იციან მათი სამუშაო გამოცდილების შესახებ, შესაბამისად, ნაკლებია რისკი, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეფასების კომიტეტის ყურადღების მიღმა დარჩეს. სწორედ ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პროცესში მათ უფრო ეფექტიანს გახდის. ამასთანავე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით, ნებისმიერი სახელმწიფო პროგრამის დაგეგმვის პროცესში, პრიორიტეტები მათთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განისაზღვრებოდეს, რათა ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტის სპეციფიკაზე მორგებულ განვითარებას.

4.8 რეგიონისა და მუნიციპალიტეტების მთავარი გამოწვევები რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით

ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით მთავარი გამოწვევებია ფინანსების სიმწირე, მონიტორინგისა და შეფასების არასაკმარისი ცოდნა და გამოცდილება და მოსახლეობის პასიურობა ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მუნიციპალური ბიუჯეტის სიმწირიდან გამომდინარე, ძირითადი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა, შესაბამისად, არ რჩება საკმარისი რესურსი სტრატეგიით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესასრულებლად. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ასევე დასახელდა საჯარო მოხელეების არასაკმარისი რაოდენობა, მწირი ცოდნა და გამოცდილება რათა განახორციელონ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი. ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მერიებში აღინიშნა, რომ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის კუთხით რეგიონში ერთიანი სისტემური მუშაობა არ მიმდინარეობს, ასევე, თანამშრომლები არ ფლობენ მონიტორინგის მეთოდოლოგიასა და მის საწარმოებლად საჭირო უნარებს. ონის მუნიციპალიტეტის მერიაში აღინიშნა, რომ მიღწეული პროგრესის გასაზომად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების დროს იქმნებოდეს მონიტორინგის სქემაც, რომელიც გასაგებად იქნება ახსნილი მერიის თანამშრომლებისათვის და სავალდებულო გახდება შესასრულებლად.

მოსახლეობის პასიურობა ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. ონისა და ამბროლაურის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, რეგიონული სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდანაც უნდა მოდიოდეს, თუმცა მოქალაქეები დახმარების თხოვნითაც კი იშვიათად მიმართავენ მუნიციპალიტეტების მერიებს. ონის მუნიციპალიტეტში ვერ იხსენებენ შემთხვევას, როდესაც მოქალაქემ მერიას სამეწარმეო საქმიანობაში დახმარებისათვის რჩევისა ან კონსულტაციისთვის მიმართა. მათი თქმით, ასეთი პრეცედენტების სიმრავლის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ეცდება, რომ მეწარმეობის განვითარების კუთხით მუშაობაში მეტი ძალისხმევა ჩადოს.

5. ბიზნესგარემო რაჭის რეგიონში

5.1. მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება

მცირე და საშუალო მეწარმეები ბიზნესის განვითარების პერსპექტივას რაჭაში პოზიტიურად აფასებენ. გამოკითხული მეწარმეების უმრავლესობა (19) უახლოეს მომავალში ბიზნესის გაფართოებას აპირებს. რესპონდენტების თქმით, ამ გადაწყვეტილებას ხელს უწყობს ამბროლაურსა და ონში ტურიზმის განვითარების ტენდენცია, რაც მათ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე ზრდის მოთხოვნას. სასტუმრო ბიზნესის მეპატრონეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ ტურიზმის სექტორში გაჩნდა მაღალი კონკურენცია, რამაც მათ გაფართოებისა და განვითარების, კონკურენტული უპირატესობის უკეთესად გამოკვეთის დამატებითი სტიმული მისცა. ღვინის საწარმოების მეპატრონეებმა აღნიშნეს, რომ მათ ოპტიმიზმს მსოფლიოში ქართული ღვინისადმი გაზრდილი ინტერესი იწვევს. ამასთანავე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ღვინოები, მაგალითად, „ხვანჭკარა", საქვეყნოდაა ცნობილი და შესაბამისად, მომხმარებელს აქაური ღვინის შეძენის მაღალი მზაობა აქვს. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ რაჭაში მიწის პროდუქტიულობა და წარმოებული პროდუქციის ხარისხი მაღალია. მეფუტკრეებისთვის ოპტიმიზმის საფუძველია რაჭის, განსაკუთრებით კი ონის მუნიციპალიტეტის, პოტენციალი ბიოპროდუქტების წარმოების კუთხით. მათი თქმით, ონის მუნიციპალიტეტში, ფაქტობრივად, არაფერი იწამლება, აქტიურად არ იყენებენ შხამქიმიკატებს, რაც ხელსაყრელ გარემოს ქმნის ორგანული პროდუქციის საწარმოებლად.

ძირითად ფაქტორებს შორის, რამაც შესაძლოა, მცირე და საშუალო მეწარმეებს განვითარებასა და გაფართოებაში ხელი შეუშალოს, მსოფლიო პანდემია და, შესაბამისად, ქვეყანაში არებული არაპროგნოზირებადი/არასტაბილური გარემო, ფინანსებზე წვდომის სირთულე და რეგიონში კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა დასახელდა.

COVID-19-ის გამო შექმნილმა სიტუაციამ მცირე და საშუალო ბიზნესს არასტაბილური გარემო შეუქმნა. რესპონდენტების თქმით, 2020 წლის თებერვალი-მაისის პერიოდში პროდუქციის ფასები გაიზარდა და გაყიდვებმა იკლო. ამასთანავე, ქვეყანაში ტურისტების ნაკადის შემცირებამ საფრთხე შეუქმნა არამხოლოდ ტურიზმს, არამედ სხვა სფეროებში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებსაც, რადგან მომხმარებელთა რაოდენობამ და, შესაბამისად, მომსახურებასა თუ პროდუქციაზე მოთხოვნამ მნიშვნელოვნად იკლო.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას ასევე აფერხებს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე. რესპონდენტების თქმით, საპროცენტო განაკვეთი იმდენად მაღალია, რომ სესხის აღებას ურჩევნიათ, რამდენიმე წელი მოიცადონ, თავად დააგროვონ ფინანსური რესურსი და შემდეგ გაფართოვდნენ. მათი თქმით, ბანკებში იმდენად მაღალი პროცენტია, რომ თუ გამოუვალი მდგომარეობა არ აქვთ, ურჩევნიათ, სესხი არ აიღონ.

რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ რაჭაში კვალიფიციური კადრების მოძიება რთულია, ახალგაზრდობა იქ ცხოვრებით არ ინტერესდება და, შესაბამისად, მიგრაციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. მცირე და საშუალო მეწარმეების თქმით, ახალგაზრდები ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებს ტოვებენ, საცხოვრებლად თბილისში გადადიან და უკან აღარ ბრუნდებიან. ეს დასახელდა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თუ რატომ უჭირს მცირე და საშუალო ბიზნესს ადგილობრივი, კვალიფიციური კადრების მოძიება.

5.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები რაჭაში

ბიზნესის მხარდამჭერი სერვისების არარსებობა

რესპონდენტების თქმით, რაჭაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას სხვადასხვა ტიპის ბიზნესის მხარდამჭერი სერვისების არარსებობა უშლის ხელს. ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ რაჭაში არ არსებობს ისეთი ტიპის საკონსულტაციო სერვისები, რომლებიც მათ ბიზნესპროექტების მომზადებაში, ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიებასა და პოტენციურ უცხოელ პარტნიორებთან დაკავშირებაში დახმარებოდა.

ბიზნესის მხარდამჭერი სერვისების არსებობის საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის. მათ ბიზნესსაქმიანობას პროდუქციის გაყიდვების ბაზრებზე წვდომის სირთულე უქმნის საფრთხეს. მეფუტკრეების თქმით, წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზარზე გატანა უჭირთ, რადგან წარმოების პარალელურად, გასაღების ბაზრების მოსაძიებლად და საკუთარი პროდუქციის მარკეტინგისათვის დრო და რესურსი არ ჰყოფნით. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის ბიზნესის მხარდამჭერი სერვისის არსებობა მათ საქმიანობას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებდა. ღვინის მწარმოებლებმა აღნიშნეს, რომ რაჭაში ღვინის ფესტივალი, რომელზეც უცხოელი ინვესტორები ჩამოვიდოდნენ და მათ ნაწარმს გაეცნობოდნენ, არ იმართება. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ უცხოელ ინვესტორებთან კავშირების არარსებობის გამო, უამრავ პოტენციურ მომხმარებელს კარგავენ.

ბიზნესის მხარდამჭერი სხვადასხვა საკონსულტაციო სერვისის არარსებობა გამოწვევაა ყველა სექტორის მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით სჭირდებათ და უჭირთ ბიზნესგეგმების შედგენა და პროდუქციის მარკეტინგისთვის საჭირო სერვისების რაჭაში მიღება. სარეკლამო ბანერის, ბროშურისა თუ მენიუს დასაბეჭდად თბილისში უხდებათ წასვლა, რაც დამატებით ფინანსურ თუ დროით რესურსებთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებებზე მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით საჭიროა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების მეტი ძალისხმევა და ეროვნულ სააგენტოებთან კოორდინაციით, შესაბამისი პროგრამების განხორციელება.

რაჭაში შრომითი რესურსის მომზადება-გადამზადების სისტემის არარსებობა

რაჭაში, მცირე და საშუალო ბიზნესს ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოძიება უჭირს. ასევე, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტში რეპონდენტებს არ ეგულებათ ადგილი, რომელიც მათ, საჭიროების შემთხვევაში, შრომითი რესურსის მომზადება-გადამზადების შესაძლებლობას მისცემს. ძირითად შემთხვევაში, საწარმოები თავად უზრუნველყოფენ ახალი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ხშირად თბილისიდან ჩამოჰყავთ სპეციალისტები, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში მათ თანამშრომლებს ამზადებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებობს პროფესიული კოლეჯი, რესპონდენტების უმეტესობას არ სმენია მისი საქმიანობის შესახებ. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თავად სცადა კოლეჯთან დაკავშირება, რათა კადრი გადაემზადებინა, დაჰპირდნენ, რომ შეეხმიანებოდნენ, თუმცა აღარ დაჰკავშირებიან. გამოკითხული მცირე და საშუალო მეწარმეების უმრავლესობას კოლეჯი თავად არასდროს შეხმიანებია. მხოლოდ ერთ რესპონდენტს, რომელიც თავად ასწავლის კოლეჯში, ჰქონდა პროფესიულ სასწავლებელთან თანამშრომლობის გამოცდილება. აღნიშნულმა საწარმომ კოლეჯის ოთხი კურსდამთავრებული დაასაქმა. ერთ-ერთი რესპონდენტის საწარმოში კი პროფესიული კოლეჯის პედაგოგი მუშაობს, თუმცა ეს ადამიანი საწარმოში კოლეჯთან თანამშრომლობის საფუძველზე არ დასაქმებულა. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ მომავალში აქტიურად ეცდება ახალი კადრების მოსაძიებლად კოლეჯთან თანამშრომლობას, თუ პროფესიული სასწავლების მხრიდანაც იქნება მზაობა თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტს გადამზადების ცენტრების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, ასევე, პროფესიული განათლების მიმართულებით რეგიონის საჭიროებათა განსაზღვრა წარმოადგენს. ნათელია, რომ ეს მიმართულება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის და საჭიროა აქტიური ქმედებების განხორციელება კერძო სექტორის მოთხოვნისა და პროფესიული განათლების მიწოდების თანხვედრის უზრუნველსაყოფად.

არასამართლიანი კონკურენცია

მეფუტკრეები და ღვინის მწარმოებლები მათი ბიზნესის ხელისშემშლელ მნიშვნელოვან ფაქტორად რაჭაში არსებულ არასამართლიან კონკურენციას ასახელებენ. რესპონდენტები ამბობენ, რომ რაჭაში უხარისხო თაფლისა და ფალსიფიცირებული ღვინის რეალიზაცია ხდება, ხოლო ამ პრობ-

ლემის აღმოსაფხვრელად არავინ მუშაობს. ამბროლაურში ახსენეს ფალსიფიცირებული ყურძნის გასაღების შემთხვევებიც, რაზეც, რესპონდენტების აზრით, ვერ ხდება სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი რეაგირება. მეფუტკრეებსა და მეღვინეებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი და ქმედითი მონიტორინგის მექანიზმი უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაჭული ღვინისა და თაფლის რეპუტაცია შეილახება და მომხმარებელთა რაოდენობაც შემცირდება.

გასართობ-დასასვენებელი სივრცეებისა და დიდი სავაჭრო ცენტრების არარსებობა

სასტუმრო ბიზნესისითვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს რაჭაში გასართობი და დასასვენებელი სივრცეებისა და დიდი სავაჭრო ობიექტების დეფიციტი. მათი არარსებობის გამო ტურისტი მალევე ტოვებს სასტუმროს და დასასვენებლად სხვა ლოკაციაზე გადადის. რესპონდენტების თქმით, ტურისტები წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში ვერ რჩებიან რაჭაში, რადგან გასართობი ადგილების დეფიციტის გამო მალევე სწყინდებათ და ტოვებენ რაიონს. ონის მუნიციპალიტეტში აღინიშნა, რომ დიდი სავაჭრო ქსელის არარსებობის გამო ტურისტები ვერ ახერხებენ მათთვის სასურველი ნივთებისა თუ პროდუქტების შეძენას ონში, რაც დამსვენებლების გაღიზიანებასა და უკმაყოფილებას იწვევს.

რეგიონის საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტს წარმოადგენს. საჭიროა სამომავლო პროექტებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გასართობი და დასასვენებელი სივრცეების განვითარებას, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის გზით. სავაჭრო ქსელების განვითარების მიმართულებით აუცილებელია რაჭაში მათი წარმომადგენლობების არარსებობის მიზეზების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სოფლის გზებზე არსებული პრობლემები

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურა გამართულია, თუმცა სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი მეწარმეები სავარგულებამდე მისასვლელი გზების გაჭრის საჭიროებას გამოკვეთენ. მათი თქმით, ბიზნესსაქმიანობას განსაკუთრებით აფერხებს ის გარემოება, რომ საძოვრებსა თუ სათიბებამდე მიღწევა ჭირს. მეფუტკრეების თქმით, მთაში სკებისა და ჭურჭლის მიტანა მწვავე პრობლემაა, რადგან გზა გაკვალული არ არის, ასევე პრობლემაა სათიბებამდე მიღწევაც, რაც მესაქონლეობის განვითარებას აფერხებს რაჭაში. ამჟამად, მთის სავარგულებამდე მისვლა დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან გზებზე ტექნიკა ზიანდება და, ამასთანავე, ზოგიერთი მონაკვეთის გავლა ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათოა. სოფლებს შორის დამაკავშირებელი შიდა გზების მოუწყობლობა პრობლემაა ტურიზმის სექტორისთვის, რადგან ტურისტს მანქანით მომსახურების ხარჯები მნიშვნელოვნად ეზრდება. ამასთანავე, სატრანსპორტო საშუალებაც ზიანდება და შესაძლებელია, რომ კონკრეტულ ლოკაციამდე მისასვლელად მანქანაც კი ვერ იშოვოს და ტურისტი ისე წავიდეს რაჭიდან, რომ სასურველი ადგილები ვერ მოინახულოს.

შიდა სასოფლო და სამთო გზების რეაბილიტაცია და რეგულარული მოვლის უზრუნველყოფა 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტია. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული და ამჟამად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა, გამოწვევები კვლავ სახეზეა. საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოებისა და ტურიზმის განვითარების საჭიროებების გათვალისწინება რაჭის რეგიონის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საქმეში.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

მცირე და საშუალო მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ სოფლებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართავობა დაბრკოლებას უქმნის მათ ბიზნესსაქმიანობას, რადგან მომხმარებლებს შესაძლებლობა არ აქვთ მათი პროდუქციის შესაძენად თუ მომსახურების მისაღებად სოფლებიდან მუნიციპალიტეტის ცენტრში ჩამოვიდნენ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართავობა ასევე პრობლემაა მუნიციპალიტეტის ცენტრში დასაქმებული სოფლის მცხოვრებლებისთვისაც, რომლებსაც სამუშაო დღის დასრულების შემდეგ სახლში დასაბრუნებლად დამატებითი ძალისხმევის გაღება უხდებათ.

აღნიშნული პრობლემის გამო მათი ნაწილი ქალაქში დასაქმების შესაძლებლობას არ განიხილავს. აღსანიშნავია, რომ სოფლებიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტი კვირაში მხოლოდ ერთხელ, ბაზრის დღეს, დადის ამბროლაურსა და ონში, რაც, რესპონდენტების თქმით, მომხმარებლების რაოდენობას საგრძნობლად ამცირებს ქალაქში. მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემა შემაწუხებელია ტურისტებისთვისაც, რომლებსაც სხვადასხვა სოფელში სტუმრობის სურვილი აქვთ, თუმცა საკუთარი მანქანის უქონლობის გამო, სასურველი ადგილების მხოლოდ ნაწილის ნახვას ახერხებენ.

2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ავტოსადგომების კეთილმოწყობას. მომავალში საჭიროა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფის ინოვაციური გზების გამონახვა, რათა მცირე დანახარჯებით გახდეს შესაძლებელი რაჭის რეგიონის სოფლების დიდი რაოდენობით მუნიციპალურ ცენტრებთან დაკავშირება.

ცხოვრების მაღალი ხარჯები

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების თქმით, მათი ბიზნესსაქმიანობისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას რაჭაში არსებული სიღარიბე და ცხოვრების მაღალი ხარჯები წარმოადგენს. რესპონდენტების თქმით, ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქციით ან მიწოდებული სერვისით ისარგებლოს. მეწარმეების აზრით, რაჭაში მოსახლეობის ცხოვრების ხარჯები, საშუალო შემოსავალზე მნიშვნელოვნად მაღალია. ხშირად, ადამიანები ან თავად აწარმოებენ ამა თუ იმ პროდუქციას, ან მიზერულ თანხას ხარჯავენ და ისიც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტსა თუ მომსახურებაზე. მცირე და საშუალო მეწარმეები ფიქრობენ, რომ თუ რაჭაში მოსახლეობის შემოსავლები არ გაიზარდა, მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა თუ მომსახურების მომხმარებელი ძირითადად უცხოელი ტურისტი იქნება, COVID-19-მა კი ნათლად აჩვენა ბიზნესის ტურიზმზე დამოკიდებულების არამდგრადობა.

5.3. მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შეფასება

რესპონდენტების უმრავლესობას სახელმწიფო პროგრამებიდან „აწარმოე საქართველოშის" შესახებ აქვს ინფორმაცია. მათ დიდ ნაწილს თავადაც უსარგებლია აღნიშნული პროგრამით და დადებითად აფასებს მის მუშაობას. თუმცა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებაში არსებობს შეკითხვები პროექტების შერჩევის კრიტერიუმებთან და შეფასების პროცესთან დაკავშირებით, რაც მეტ გამჭირვალეობას საჭიროებს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ იცის აღნიშნული პროგრამის შესახებ, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ მოქალაქეებისთვის აღნიშნული პროგრამის სხვადასხვა სპეციფიკის გაცნობა სათანადოდ არ ხდება. ფერმერს/გლეხს არ აქვს საკმარისი ცოდნა და ტექნიკური რესურსი იმისათვის, რომ სწორად შეავსოს სააპლიკაციო განაცხადი და სჭირდება მეტი დახმარება. სწორედ ამიტომ გრანტით ვერ სარგებლობენ ისინი, ვისთვისაც ეს აუცილებელია. სახელმწიფო პროგრამებიდან ასევე ნახსენები იყო „დანერგე მომავალი". რესპონდენტების დიდი ნაწილი სახელმწიფო პროგრამებად მიიჩნევდა სხვადასხვა საერთაშორისო დონორისა თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ რეგიონში დაფინანსებულ ინიციატივებს, მაგალითად, ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ პროექტს - „მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა", თუმცა აღნიშნავდნენ, რომ ამ პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დაბალია.

5.4. ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის შესახებ

გამოკითხულ რესპონდენტებს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიისა და მისი განხორციელების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. მათი უმრავლესობის თქმით, ასეთი დოკუმენტი შეიძლება არსებობდეს, თუმცა პირადად მათ აღნიშნული სტრატეგია არ უნახავთ და არც არავის გაუცვნია დოკუმენტის შინაარსი მათთვის. მცირე და საშუალო მეწარმეებს უჭირთ უპასუხონ შეკითხვას – არსებობს თუ არა რეგიონში, ან თუნდაც

მათ მუნიციპალიტეტში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთიანი ხედვა/გეგმა. ის მეწარმეები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რეგიონის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხედვა/გეგმა არსებობს, ვერ ასახელებდნენ აღნიშნული ხედვით/გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

5.5. მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის სასურველი ინიციატივები, რომელთა განხორციელებასაც ისურვებდნენ ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების აზრით, სახელმწიფომ რაჭაში ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად შემდეგი ძირითადი ნაბიჯები უნდა გადადგას:

1. რაჭის ტურისტული პოტენციალის გაზრდა, რაჭის პოპულარიზაციისა და რაჭაში ტურისტების მოზიდვის გზით. რესპონდეტების აზრით, სახელმწიფომ უნდა შექმნას რაჭის ბრენდი, ხელი შეუწყოს მისი, როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის კურორტად პოზიციონირებას. აღსანიშნავია, რომ რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია ითვალისწინებს რეგიონის ბრენდის შექმნას, თუმცა ძირითადი აქცენტი გაკეთებულია რეგიონში წარმოებული პროდუქტების შესახებ მომხმარებლების ინფორმირებაზე. საჭიროა რაჭის, როგორც ტურისტული რეგიონის, ბრენდის განვითარების კონცეფციის შექმნა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
2. ადგილობრივი ბიზნესის მხარდასაჭერად სახელმწიფომ უნდა შექმნას პროგრამები, შესაძლებლობები, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეებს დაბალპროცენტიანი სესხებისა თუ კრედიტების აღების შესაძლებლობას მისცემს. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ 2020 წლის მდგომარეობით, მცირე მეწარმეებს დაბალპროცენტიან სესხებზე ხელმისაწვდომობა არ აქვთ, ამიტომ ერიდებიან საბანკო/საკრედიტო სესხების აღებას, რაც მათი ბიზნესსაქმიანობის გაფართოებას აფერხებს;
3. ადგილობრივი ბიზნესის განსავითარებლად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რეგიონში არსებული შრომითი რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება, მოსახლეობის წვდომის გაუმჯობესება პროფესიულ სწავლებაზე და ადგილობირივი ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა მომზადება-გადამზადების სისტემაზე. მცირე და საშუალო მეწარმეების აზრით, რაჭაში კვალიფიციური კადრების პოვნის სირთულეს შესაძლოა სუსტი პროფესიული კოლეჯი და კადრების მომზადება-გადამზადების სისტემის არარსებობა განაპირობებს. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ რეგიონში პროფესიული განათლების გაძლიერება, ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს;
4. იმისათვის, რომ განვითარდეს ადგილობრივი ბიზნესი სახელმწიფომ რაჭაში რეკრეაციული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი, რაც პირველ რიგში, ტურისტების მოზიდვას წაახალისებს. მათი გაზრდილი რაოდენობა კი ადგილობრივი ბიზნესისთვის მომხმარებლების გაზრდილ რაოდენობას ნიშნავს, რაც მნიშვნელოვნად გაუზრდის მოგებას ადგილობრივ ბიზნესს;
5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი ბიზნესსაკონსულტაციო სერვისები დაინერგოს (კონსულტაციები აუდიტში, ხარისხის კონტროლში, გასაღების ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობასა და მარკეტინგში), რათა მეწარმეებს თბილისში არ მოუწიოთ წასვლა აღნიშნული სერვისების მისაღებად;
6. ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა იმუშაოს შიდა მიგრაციის პრობლემის მოსაგვარებლად, რათა რაჭა ახალგაზრდობისგან არ დაიცალოს, წასული მოსახლეობა დაბრუნდეს, ხოლო ახლანდელი მცხოვრებლები დარჩნენ რეგიონში;
7. ადგილობრივი ბიზნესის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით ტურიზმის სექტორში მოქმედი მეწარმეებისათვის, ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს გამართული საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის შექმნაზე;
8. სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდასაჭერად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს სასოფლო სავარგულებამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობაზე.

6. შეჯამება

დოკუმენტის მიზანს რაჭაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის მეხუთე მიზნით 2014-2021 წლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების მონიტორინგი წარმოადგენდა. თავდაპირველად, სამაგიდო კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართულებით რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებები და მათი შესაბამისობა სხვა სახელმწიფო სტრატეგიების პრიორიტეტებთან. შევისწავლეთ ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში 2014-2019 წლებში სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მხარდაჭერილი ინიციატივები. გაანალიზდა სსიპ „აწარმოე საქართველოშის", სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (სსმგს), სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 2014-2019 წლებში განხორციელებული მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ინიციატივები. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით 2014-2021 წლებისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და არსებული გამოწვევების შესასწავლად ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა ცენტრალური ინსტიტუტებისა და რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით შევისწავლეთ ბიზნესგარემო ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში. რაჭის რეგიონში არსებული ბიზნესგარემოს კვლევის მიზნით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნესრეგისტრის მონაცემებიდან შეირჩა ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში მოქმედი საწარმოები და მათ ხელმძღვანელებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები.

ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის კუთხით 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიით გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებების შესრულების თვალსაზრისით, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სუსტი და ფრაგმენტული კომუნიკაციაა. 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების კუთხით რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ მთავარ აქტორებს შორის არ არის კომუნიკაცია და კოორდინაცია. არ ხდება რეგიონში მიღწეული პროგრესის ერთმანეთისათვის გაზიარება და შემდგომი ნაბიჯების კოორდინირებულად დაგეგმვა საერთო წარმატების მისაღწევად. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ მეწარმეობის განსავითარებლად არსებული სხვადასხვა საგრანტო კონკურსის დროს საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლება არ ერთვება, შესაბამისად, სათანადოდ ვერ ხდება რეგიონული საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინება.

ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათი საქმიანობა თანხვედრილია 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიასთან, თუმცა ყოველწლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადება არცერთ მუნიციპალიტეტში არ ხდება. ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მთავარ გამოწვევებად დასახელდა ფინანსების სიმწირე, მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების არასაკმარისი ცოდნა-გამოცდილება და მოსახლეობის პასიურობა – ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის მეხუთე მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას რვა ძირითადი დასახული ამოცანის შესრულებით გეგმავს. 2014-2019 წლებში ამ რვა ამოცანის შესასრულებლად ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებს ადგილობრივ დონეზე კონკრეტული ინიციატივები ჯერ არ განუხორციელებიათ. ამის ძირითად მიზეზად მოსახლეობაში არსებული უნდობლობა და ნიჰილიზმი დასახელდა, ასევე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული უნარების ნაკლებობა სრულყოფილად და რისკების მაქსიმალური დაზღვევით

შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ ახალი ინიციატივები. აღსანიშნავია, რომ რეგიონში, მცირე და საშუალო მეწარმეობა სახელმწიფო პროგრამების („აწარმოე საწართველოში", „დანერგე მომავალი" და ა.შ.) დახმარებით ვითარდება.

ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში ბიზნესგარემოს კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მცირე და საშუალო მეწარმეები ბიზნესის განვითარების პერსპექტივას რაჭაში პოზიტიურად აფასებენ. გამოკითხული მეწარმეების უმრავლესობა უახლოეს მომავალში ბიზნესის გაფართოებას აპირებს. რესპონდენტების თქმით, ამ გადაწყვეტილებას ხელს უწყობს ამბროლაურსა და ონში ტურიზმის განვითარების ტენდენცია, რაც მათ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე ზრდის მოთხოვნას. ძირითად ფაქტორებს შორის, რამაც შესაძლოა, მცირე და საშუალო მეწარმეებს განვითარებასა და გაფართოებაში ხელი შეუშალოს, მსოფლიო პანდემია და, შესაბამისად, ქვეყანაში არსებული არაპროგნოზირებადი/არასტაბილური გარემო, ფინანსებზე წვდომის სირთულე და რეგიონში კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა დასახელდა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის ასევე გამოიკვეთა რაჭაში ბიზნესის მხარდამჭერი სერვისების, შრომითი რესურსის მომზადება-გადამზადების სისტემების, გასართობ-დასასვენებელი სივრცეებისა და დიდი სავაჭრო ცენტრების არარსებობა, ასევე, ღვინისა და თაფლის წარმოების სექტორში არსებული არასამართლიანი კონკურენცია, სოფლის შიდა და სასოფლო სავარგულებამდე მისასვლელ გზებზე არსებული პრობლემები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართავობა და ცხოვრების მაღალი ხარჯები ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების აზრით, სახელმწიფომ, რაჭაში ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად რაჭის პოპულარიზაციისა და ტურისტების მოზიდვის გზით უნდა გაზარდოს ტურისტული პოტენციალი. მცირე და საშუალო მეწარმეების აზრით, სახელმწიფომ რაჭაში რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, რაც, პირველ რიგში, ტურისტების მოზიდვას წაახალისებს. სახელმწიფომ უნდა შექმნას პროგრამები, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეებს დაბალპროცენტიანი სესხებისა თუ კრედიტების აღების შესაძლებლობას მისცემს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რეგიონში არსებული შრომითი რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება, მოსახლეობის წვდომის გაუმჯობესება პროფესიულ სწავლებაზე, და ადგილობრივი ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა მომზადება-გადამზადების სისტემებზე. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი ბიზნესსაკონსულტაციო სერვისები დანერგოს. სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდასაჭერად ადგილობრივმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს სასოფლო სავარგულებამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობა. სამეწარმეო გარემოს გასაუმჯობესებლად უნდა გაიმართოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა და ბოლოს, ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა იმუშაოს შიდა მიგრაციის პრობლემის მოგვარებაზე, რათა რაჭა ახალგაზრდებისგან და ხალხისგან არ დაიცალოს.

7. რეკომენდაციები

7.1. კერძო სექტორის ჩართვის უზრუნველყოფა რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში

რეგიონულ და მუნიციპალურ განვითარების სტრატეგიებში მცირე და საშუალო საწარმოების პრობლემების და მათი მოგვარების გზების ასახვის მიზნით, საჭიროა საწარმოების ჩართვა მომავალი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ამისათვის საჭიროა კერძო სექტორის მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების და ფოკუს ჯგუფების ჩატარება, გამოკვეთილი საკითხების სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტში ასახვა და სტრატეგიის სამუშაო ვერსიის კერძო სექტორთან განხილვა. ასეთი ფორმატი უზრუნველყოფს სტრატეგიების ინკლუზიურად შემუშავებას და განხორციელების პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობას, მათი მხრიდან სტრატეგიის აღსრულების მიმდინარეობის მონიტორინგს და პრობლემატური საკითხების შესახებ მუნიციპალური და რეგიონული ხელისუფლების ინფორმირებას.

7.2. კერძო სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტების შექმნა რაჭაში

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რაჭის რეგიონს და მუნიციპალიტეტებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის კუთხით რეგიონული განვითარების სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების რესურსები და ინსტიტუციური უნარები არ გააჩნიათ. შესაბამისად, სტრატეგიის ამ ნაწილის შესრულება დიდწილად დამოკიდებულია ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი პროგრამების ფარგლებში რაჭის რეგიონში განხორციელებულ აქტივობებზე. იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პროგრამების განმახორციელებელი სააგენტოები თავიანთი პრიორიტეტებით, კრიტერიუმებით და წესებით ხელმძღვანელობენ, რეგიონული განვითარების სტრატეგიის ამოცანების გარკვეული ნაწილი ყურადღების მიღმა რჩება. შესაბამისად, აუცილებელია რეგიონში არსებობდეს კერძო სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან რეგიონული განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაზე, ცენტრალური ხელისუფლების პროგრამების განმახორციელებელ სააგენტოებთან თანამშრომლობაზე და ადგილობრივი მეწარმეებისათვის აღნიშნული პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, კერძო სექტორთან აქტიურ თანამშრომლობაზე და საჭირო მომსახურების შეთავაზებაზე. ამ ეტაპზე საჭიროა ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებმა შექმნან მეწარმოების განვითარების არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებიც პასუხიმგებლები იქნებიან კერძო სექტორისათვის მნიშვნელოვანი მომსახურებების მიწოდებაზე და რეგიონული და მუნიციპალური განვითარების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე.

7.3. პროფესიული განათლების მომსახურების პროაქტიურად მიწოდების უზრუნველყოფა

პროფესიული განათლების კერძო სექტორის საჭიროებებზე მორგების უზრუნველსაყოფად საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოების უნარების შესახებ კვლევის ჩატარება. კვლევის შედეგების მიხედვით საჯარო, საგანმანათლებლო და კერძო სექტორების ჩართულობით უნდა დაიგეგმოს აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის კრიტიკულად აუცილებელი მოდულების შემუშავებას, ლექტორების იდენტიფიცირებასა და პროგრამების კერძო სექტორისათვის მიწოდებას. ასეთი სქემით მუშაობა გაზრდის კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ საგანმანათლებლო აქტივობებში უნარებთან დაკავშირებული დეფიციტის აღმოსაფხვრელად და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

7.4. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი ინფრასტრუქტურის განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რაჭის რეგიონში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და ხორციელდება, მიზნობრივი ინიციატივებია საჭირო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მიმავალი ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. ამისათვის საჭიროა იმ ადგილების იდენტიფიცირება, სადაც მიმდინარეობს თიბვა, ველური ხილის შეგროვება, ფუტკრის სკების განლაგება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ეს ხელს შეუწყობს საქონლის საკვებით მომარაგების გაუმჯობესებას, მეთაფლეობით დაკავებული მეწარმეების პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, ველური ხილის შეგროვების შედეგად მოსახლეობის შემოსავლების გაზრდას.

დანართი 1: *რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების სტრატეგიების პრიორიტეტები*

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021	**2016-2020 წლებისათვის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები**	**საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის 2015-2020 წლების პრიორიტეტები**	**სოფლის განვითარების სტრატეგიის 2017-2020 წლების პრიორიტეტები**	**რეგიონული განვითარების პროგრამის 2018-2021 წლების პრიორიტეტები**
მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა	მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება			
ბიზნესგანათლებისა და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებებზე მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური პროგრამების საშუალებით.	ფინანსური განათლების გაუმჯობესება; მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში; მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა; მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება;	ფერმერთა ცოდნის ამაღლება; ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა; პროფესიული სწავლების ხარისხისა და უმაღლესი განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობა;	ცნობიერების ამაღლება ინოვაციებისა და მეწარმეობის მიმართულებით, ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით;	მცირე და საშუალო ბიზნესის ადამიანური რესურსების განვითარება (ტრეინინგ პროგრამები მფლობელთათვის, მენეჯერებისა და მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლებისათვის); საქართველოს მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება ინოვაციების მხარდასაჭერად;
შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის მხარდაჭერა; რეგიონის მუნიციპალიტეტებში გადამზადების ცენტრებისა და ბიზნესინკუბატორების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა	შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება; მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება; არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა;			არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება ან/და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

რეგიონის საჭიროებათა განსაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით და პროფესიული განათლების ცენტრების საჭირო პროფილისა და რაოდენობის პროგნოზირება.				შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განვითარებული კვალიფიკაციების საფუძველზე მოდულური და სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) პროფესიული პროგრამების განხორციელება, რომლებიც ავითარებენ სამეწარმეო უნარებს; შრომის ბაზრის ანალიზის, ინფორმაციული სისტემების დანერგვა/ განვითარება;
მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა საინვესტიციო პროექტების მომზადებაში და მათი დაკავშირება პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან	უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages)	სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება; რეგიონებისთვის სოფლის განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში ინვესტირების გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;		უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან;
ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიებაში	DCFTA-ის პერსპექტივებისა და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება; მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში; მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება; მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში;	ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება		მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე; ქართული პროდუქციისა და მომსახურების პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე; საზღვარგარეთ ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა;

თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა				
კვების მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა		ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება; ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემების განვითარების მხარდაჭერა;	ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით;	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, ლიზინგით, საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებით, სესხის უზრუნველყოფითა და აგროდაზღვევით; მეღვინეობის განვითარება;
ტურიზმის განვითარება			სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე	

დანართი 2: *ჩატარებული ინტერვიუები*

ინტერვიუს თარიღი	ინსტიტუტი	თანამშრომელი	თანამდებობა
05.12.2019	„აწარმოე საქართველოში“	თეონა ბაბუნაშვილი	მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის მენეჯერი
11.12.2019	ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	ანი ვაშაყმაძე	დონორებთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
23.12.2019	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია	ზვიად მხეიძე გიორგი დონაძე ასლან საგანელიძე გიორგი გოძიაშვილი მამუკა გელოვნიშვილი	მუნიციპალიტეტის მერი, ვიცემერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
23.12.2019	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრი	ლერი გელოვნიშვილი	ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელი
23.12.2019	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი	ანა კანთელაძე	ცენტრის ხელმძღვანელი
24.12.2019	გუბერნატორის ადმინისტრაცია	არჩილ ჯაფარიძე გიორგი გონაძე	გუბერნატორი, გუბერნატორის მოადგილე
24.12.2019	ონის მუნიციპალიტეტის მერია	ეკა მაისურაძე თამთა ტეფნაძე	მერის მოადგილე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
24.12.2019	ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრი	გვანცა გავაშელიშვილი ლია ბურდილაძე	ონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დირქტორი; ონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი.
21.01.2020	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო	ნატალია ხარატიშვილი	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი
23.01.2020	საქართველოს სკაუტური მოძრაობა	კახა აბჟანდაძე	პროექტის მენეჯერი